საქართველოს შემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ოქროთი
4 „ 15 „ „
ყოველ ... ...
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 566 პარასკევი, სექტემბრის 7 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

საქ. შემარცხენე სოც.-ფედ-თა სარევ. პარტიის
ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი

იწვევს ქალაქ ზუგდიდში კვირას, ამა წლის სექტემბრის 9-ს პარტიულ

სამაზრო კონფერენციას

დღის წესრიგი:

1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
3) მოხსენებანი ადგილებიდან.
4) მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 1-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . 3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 4 000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 150.000 „

იაპონიის უგედურება

თანამედროვე მსოფლიოს იმპერიალიზმს ორი ახალი კაპიტალისტური ქვეყანა უკარნახებდა პოლიტიკურ შემოქმედების გეზს. ეს ორი ახალი ქვეყანა—ამერიკა და იაპონიაა. ამ ორ ქვეყანას ახასიათებს საოცარის სისწრაფით სოციალური და ეკონომიური განვითარება. 50 წლის წინად იაპონია ავრცელებდა თავის ბატონობას 33 მილიონიან ხალხზე, დღეს კი 78 მილიონიან ხალხს ითვლიდა თავის სამფლობელოში. ამავე ხნის განმავლობაში წმინდა კონტინენტალური სახელმწიფო ტიპიური კოლონიალური იმპერია შეიქმნა, რომელმაც თითქმის 300 ათასი ოთხუთხედი კილომეტრი მამული შეიძინა 22 მილიონ ხალხით დასახლებული.

თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთის ფედერაციას მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ იაპონია თანამედროვე სახელმწიფოების პირველ რიგებში სდგას, მაგრამ მის სოციალურ და ეკონომიურ დინამიკაზე გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ორ მთავარ მომენტს—დემოგრაფიას და ეთნოგრაფიას. იაპონიას დიდ სახელმწიფოებში პირველი ადგილი უჭირავს მჭიდრო მოსახლეობის მხრივ (ოთხკუთხედ ვერსტზე მოდის 145,1 სული), ხოლო თვით იაპონიის სახელმწიფოში იაპონელები ცხოვრობენ 99,94 პროც. მთელი მცხოვრებლებისა, სადაც აინოსებს და ჩინელებს უჭირავთ რაღაც 0,06 პროც. ეროვნული მთლიანობის მხრივ იაპონია—ამგვარად პირველი მთლიანი ქვეყანაა მსოფლიოში.

აღნუსხულ ორ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიის მთელ პოლიტიკაზე. ისტორიის ობიექტიური პირობები აიძულებენ იაპონიას სასტიკი მარინისტული სახელმწიფო შეიქმნეს და იმპერიალისტური პოლიტიკა აწარმოოს. მთლიანი ნაციონალური შემადგენლობა სათანადო კოლექტიურ პსიხოლოგიას ქმნის მძიმე არტილერიის და 400 ათასიანი ჯარის შესაქმნელად, რომელიც ომის დროს უნდა გაიშალოს 1 ნახ. მილ. ჯარით.

იაპონიის ისტორიის ასეთი ბუნება სავსებით გვიაშკარავებს იმ თავისებურ პოლიტიკურ ცვლილებებს და მიმართულებას, რომელსაც გვიშლის ჩვენ იაპონიის სინამდვილე. 1868 წლის რევოლიუციამ იაპონიის თვითმპყრობელობას თავადების ოლიგარხია გამოაცალა, მაგრამ დაამარცხა სასტიკი მონარქიული რეჟიმი. იაპონიის მიკადო ერთად ერთი მძლავრი ფაქტიური თვითმპყრობელია დიდი სახელმწიფოსი მთელს მსოფლიოში. უკანასკნელ დრომდე იგი მიკადო მეტად თავისუფლად გრძნობდა თავს და მსოფლიოს ყოველ კონფლიქტს იმისათვის იყენებდა, რომ წელმოღუნულ სახელმწიფოსათვის წიხლი ჩაეცა და სამფლობელოები ჩამოეცალა. ამ გზით ჩამოაცალა იაპონიამ ჩინეთს დიდი კუნძული ფორმოზა, წაიღო კორეია, რუსეთის სახალინის სამხრეთს დაეპატრონა, გერმანიის კოლონიები მიითვისა და რუსეთის სამოქალაქო ომის პროცესში მთელი ციმბირის ოკუპაციაზე ოცნებობდა.

აი ეს იმპერიალისტური პოლიტიკა და გამარჯვების დაფნის გვირგვინი ამაგრებდა უკანასკნელ დრომდე იაპონიის მიკადოს. თუ რა საოცარი ნაციონალიზმი არსებობს იაპონიის ხალხში ეს იქიდანაც სჩანს, რომ საზოგადოდ მარქსისტული შემეცნების ისტორიას სულ მოკლევადიანი წარსული აქვს, ხოლო კომუნისტურ პარტიას უკანასკნელ დრომდე (1921 წელი) სულ 800 წევრი ჰყავდა. მცხოვრებთან შედარებით ამ ციფრს თითქმის მნიშვნელობა არ აქვს.

ეკონომიურ ცხოვრებაში იაპონია მეტად დიდ როლს თამაშობდა. ის ფაქტიურად ხელი-ხელ ჩართულ ომს აწარმოებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არც ერთი სახელმწიფო არ ვაჭრობდა ამერიკასთან ისე ფართოდ, როგოთც იაპონია და ერთი სახელმწიფო არ უწევდა ამერიკას სასიცოცხლო მიდამოებში ისეთ მეტოქეობას, როგორც იაპონია. მთელი საგარეო ვაჭრობის 25--29 პროც. იაპონიის ამერიკასთან არის, შემდეგ კი იაპონია უდიდეს ვაჭრობას აწარმოებს ჩინეთთან (21 პრ.) და ინგლისურ ინდოეთთან (9,9 პროც.). აქედან თქვენ ხედავთ თუ რა პუნქტებში სცემს თავის საქონლის ბასრ მახვილს იაპონია, რომ ის ერთად ერთი უმძლავრესი მიტოქეა ინგლისის და ამერიკის.

მსოფლიოს პოლიტიკურმა ცვალებადობამ აიძულა ინგლისი იაპონიისათვის მეგობრული ხელი მიეცა. ეს იყო შიში ამერიკის წინაშე. ამერიკა იაპონიას სულთა მხუთავად ევლინებოდა უკანასკნელ დროს. მაგრამ მას ბედმა არ აცალა ადვილად აეტანა ამერიკის ბჭეთა სიმძიმენი. მიწის ძვრამ, შეიძლება თამამად ითქვას, იაპონია გამორიცხა ათიოდე წლით მაინც პირველ რიგებიდან და ამერიკას სავსებით გაუხსნა ხელები.

მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში—ტოკიოში, სადაც სცხოვრობდა 2173 ათასი ხალხი დღეს გაუმაძღარ მიწამ წაიღო 20 ათასი სახლი და ამბობენ 300.000 მცხოვრებით. ეს ნიშნავს მთელი იაპონიის კულტურის სიმძიმის მოსპობას. ეს მოვლენა ლახვარია ინგლისისათვის, ეჭვს გარეშეა იაპონიის ტრაგედია ბალდვინის მთავრობას აიძულებს ტონი შესცვალოს და ახალ-ახალ მოკავშირეებს მიაკითხოს და ავანტიურების ქსელი შეამციროს.

საბჭოთა რუსეთს მოლაპარაკება ქონდა გამართული იაპონიასთან. არსებული ცნობებით იაპონიას სურდა დე-იურე პირველად ეცნო რუსეთი. უეჭველია ამ მიმართულებით იაპონია ამ დიდი კატასტროფის შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად გადადგამს ნაბიჯს.

მთელი მშრომელი კაცობრიობის თანაგრძნობა იქნება მიმართული იაპონიის მშრომელი ხალხის უბედურებით. ყველამ უნდა დავეხმაროთ იაპონიის უბედურებას, რითაც კი შეგვიძლიან. ეს კიდევ უფრო მეტ კავშირს შექმნის ჩვენსა და იაპონიის ხალხს შორის და ხალს შეუწყობს იმპერიალიზმიდან იაპონიის სოციალიზმისაკენ გადაყვანას.

დღიური

— მუსოლინი იმუქრება, რომ თუ „ერთა ლიგა“ შეუდგება კონფლიქტის განხილვას იტალეთი გამოვა „ლიგიდან“.

— საბერძნეთის ელჩებმა ნეიტრალურ სახელმწიფოთა მთავრობებს გადასცეს საპროტესტო ნოტა იტალეთის მოქმედების შესახებ.

— კორფუს მცხოვრებლებმა მოაწყვეს დემონსტრაცია ოკუპაციის საწინააღმდეგოდ.

— სალონიკში და ათინაში დიდი მღელვარებაა.

— ლონდონის ცნობების თანახმად „ერთა ლიგამ“ გადასწყვიტა, რომ თუ იტალეთი არ დაემორჩილება მის გადაწყვეტილებას იგი გამოუცხადებს იტალეთს ეკონომიურ ბლოკადას.

— იაპონიის მიწის ძვრა გაცილებით ძლიერი აღმოჩდა, ვიდრე პირველად მიღებული ცნობები აღნიშნავდენ. დაიღუპა 11 ქალაქი. ზღვის ნაპირის ხაზი შეიცვალა.

— იაპონიის სატახტო ქალაქად გამოცხადდა ძველი სატახტო ქალაქი კიოტო.

ჯალიბ-ლეპეშები

ზაპროსტას ცნობები 5 სექტემბრიდან

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

ლონდონი. რომიდან მოსულ ცნობებით მუსოლინი იმუქრება, რომ თუ ერთა ლიგა ხვალ შეუდგა კონფლიქტის განხილვას, იტალია გამოვა ლიგიდან. ლონდონში აღნიშნავენ, რომ თანახმად ლიგის დებულებისა, ლიგიდან გამოსვლა სახელმწიფოსი არც ისე ადვილია, როგორც მუსსოლინი ფიქრობს. თანახმად დებულების 1 მუხლისა ლიგის წევრს შეუძლია გამოვიდეს, თუ ამას განაცხადებს [illegible] წლით ადრე და შეასრულებს დებულების მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

ჟენევიდან მიღებული დეპეშები აღნიშნავენ, რომ ლიგის ყველა წევრი—სახელმწიფონი საჭიროდ სცნობენ ერთა ლიგის ავტორიტეტის დაცვას. საფრანგეთი სწორედ ამ მიმართულებით აპირებს მოქმედებას და ამ აზრს ემხრობიან მცირე ანტანტა, სკანდინავიის სახელმწიფონი და ლათინო-ამერიკის ბლოკი.

ლონდონში ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის დეპეშების შეუსრულებლობა დიდი სახელმწიფოს მიერ ცუდი მაგალითი იქნება მცირე სახელმწიფოთათვის და მისი დარღვევა საფუძველს გამოაცლის ომის შემდეგ დადებულ ყველა ხელშეკრულებებს.

ფიქრობენ, რომ პუანკარე და კერზონი შეთანხმდნენ გაერთიანებული მოქმედებით დაიცვან ბალკანეთზე მშვიდობიანობა.

„დეილი მეილის“ კორესპოდენტს მუსსოლინმა განუცხადა: „თუ კი საბერძნეთი შეასრულებს ყველა ჩემს მოთხოვნილებებს, გავიყვან კორფუდან ჯარს, მაგრამ უკვეთესი იქნებოდა ფული გადაიხაროს მომავალ კვირამდე, რადგანაც შემდეგ ფასი მოემატება. საბერძნეთის ახალი ტერიტორიის დაჭერას არ ვფიქრობ. თუ ბერძნები დაეცემიან იტალიის მოქალაქეთ და მათ ადგილებს, მე მივმართავ სხვა რესპუბლიკებს“.

ბერლინი. საბერძნეთის ელჩებმა ბერლინში და სკანდინავიის სახელმწიფოებში ნეიტრალურ მთავრობებს გადასცეს საპროტესტო ნოტა იტალიის მოქმედების გამო.

ათინაში ყველა პოლიტიკურ პარტიებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები.

ქალ. კორფუს ქუჩებში მცხოვრებლებმა ოკუპაციის საწინააღმდეგოდ დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს.

„სტეფანი“-ს სააგენტოს აცნობებენ, რომ ათინაში მოხდა იტალიის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია, დასწვეს იტალიის ეროშა და ცდილობდნენ შეცვივნულიყვნენ იტალიის საელჩოში.

სალონიკში და ათინაში დიდი მღელვარებაა.

სალონიკში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

საბერძნეთის გაზეთების ცნობით უნახავთ, რომ ალბანეთის ბანდების მეთაური დაურო-ხოჯუ მკვლელობის წინა დღეს ათვალიერებდა იმ ადგილს, სადაც მოხდა მკვლელობა, და ბჭობდა ალბანეთის პოლიციის უფროსთან.

საბერძნეთმა ერთა ლიგის საბჭოს წარუდგინა ახალი წინადადება: 1) შესდგეს ნეიტრალური საგენტო მკვლელობის გამოძიებისა და დამნაშავეთა გასამართლების თვალ-ყურის სადევნებლად; 2) შესდგეს კომისია 3 ნეიტრალურ იურისტისაგან ანაზღაურების თანხის გამოსარკვევად და 3) ფულის გადახდის ადგილად მიღებულ იქმნეს „შვეიცარიის ბანკი“ (ბანკ-დესუის).

ლონდონიდან მიღებულ ცნობებით ერთა ლიგამ გადასწყვიტა, რომ თუ იტალია არ დაემორჩილება მის გადაწყვეტილებას, იგი გამოაცხადებს იტალიის ეკონომიურ ბლოკადას. ინგლისმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ კონფლიქტში ჩარევისაგან. გავრცელდა ხმები, ვითომ სამხრეთ სლავიამ განაცხადა, რომ, თუ იტალია ჯარს გადმოსხავს ალბანეთში, იგი იტალიას ომს გამოუცხადებს. უნგრეთმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიის საბერძნეთისათვის დახმარებას შეუძლიან გამოიწვიოს უნგრეთის მცხოვრებთა გამოსვლა სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ.

მიწის ძვრა იაპონიაში.

მიწის ძვრა იაპონიაში უფრო საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ პირველი ცნობების მიხედვით. მთელი რიგი ცეცხლის-მფრქვეველ მთებისა ამოქმედდა. ორშაბათს მიწის ძვრა განმეორდა. დაიღუპა 11 ქალაქი, ზოგი მთლად და ზოგიც ნაწილობრივ. ოსაკასა და კობეს ჩრდილოეთით 3 მილის სანძილზედ. მიდამო სულ მოისპო. სამღვთო კუნძული ეგოშიში წყალში დაიმალა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებზედ არავითარი ცნობა არ არის.

ზღვის სანაპიროს ხაზი მთლად შეიცვალა. ტოკიოს უბე გაჭრა. გაჩნდა ორი ახალი დიდი კუნძული. იოკაჰამის ახლოს წყალმა ჩანთქა 2 დასახლებული კუნძული.

უკანასკნელი ცნობებით დაიღუპა ბევრი ინგლისელი და ამერიკელი. იაპონიის პრემიერი დაჭრილია. დაღუპულთა რიცხვში ბევრი პოლიტიკური მოღვაწენი და მათ რიცხვში: პრინცი მატცუმოტო და ბარონი ტაკაშიხა. ვიკონტ ტიკაფუზი და 20 გავლენიანი წევრი მთავრობის პარტიისა დაიღუპნენ ბჭობის დროს. ათასობით ლტოლვილნი გარბიან დაზარალებულ ადგილებიდან. მარტო ტოკიოში დაღუპულთა რიცხვს სთვლიან 140.000 კაცამდე.

დასახმარებლად იგზავნებიან იტალიისა, საფრანგეთისა, და ინგლისისა და ამერიკის გემები.

მიკადოს სასახლეში, რომელიც „უბრალო მომაკვდავთათვის“ მიუდგომელი იყო, პრინც-რეგენტის მიერ მოწყობილია ლაზარეთი.

იოკაჰაშში ყველა მცხოვრებლებიდან გადარჩა მხოლოდ 40.000 კაცამდე, რომელნიც გაიქცნენ გემებზედ.

ტოკიოსა და იოკაჰამში ლტოლვილთა შორის სურსათის ნაკლებობის გამო მოხდა აჯანყება.

იაპონიის დროებით სატახტო ქალაქად გამოცხადებულია ძველი სატახტო ქალაქი კიოტო.

მოსკოვი. იტალიის წარმომადგენელმა მოსკოვში გადასცა ჩიჩერინს მემორანდუმი, სადაც ნაჩვენებია, რომ იტალიის მთავრობა იძულებული იყო შეეგნებინა საბერძნეთისათვის მისი პასუხისმგებლობა. კორფუზედ ჯარის გადაადგილებამ არ ნიშნავს ომის დაწყებას, ხოლო მაჩვენებელია მისი, რომ იტალიამ მტკიცედ გადასწყიტა დაიცვას პრესტიჟი და მიიღოს დაკმაყოფილება.

ლონდონი. ინგლისში იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში მთელ იმედებს ამყარებენ ერთა ლიგაზე.

ფიქრობენ, რომ ტრედ-უნიონების კონგრესსი ერთა ლიგის წესდების დარღვევის გამო საპროტესტო რეზოლიუციას გამოიტანს იტალიის მიმართ.

ერთა ლიგის სხდომაზე ჟენევაში სალანდრამ იტალიის სახელით განაცხადა, რომ იტალია-სა-

ბერძნეთის კონფლიქტი არ შედის ერთა ლიგის კომპეტენციაში და იგი უნდა გადაწყვიტოს ელჩთა კონფერენციამაო. შემდეგ იგი უცხადებს, რომ კორფუს ოკუპაცია დროებითი ზომაა.

საბერძნეთის დელეგატი პოლიტისი ამტკიცებდა, რომ ერთა ლიგას უფლება აქვს ჩაერიოს კონფლიქტში. ინგლისის დელეგატებმა ლორდ სესილმა მოითხოვა ერთა ლიგის სტატუტის 10, 12 და 14 მუხლების წაკითხვა. სესილმა დამსწრეთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტზედ, რომ ეს მუხლები წარმოადგენენ ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებათა ნაწილს და მათი დარღვევა (საფუძველს გამოაცლის ხსენებულ ხელშეკრულებებს.)

სესილის განცხადებამ დამსწრეებზე დიდი გავლენა მოახდინა.

ლორდ კერზონმა აცნობა იტალიის ელჩს ლონდონში, რომ ბრიტანეთის მთავრობამ საფრანგეთთან შეთანხმებით გადასწყვიტა ენერგიულად დაიცოს ერთა ლიგის კომპეტენცია და ავტორიტეტი კონფლიქტში.

ინგლისის საზოგადოებას შესაძლებლად მიაჩნია ინგლის-საფრანგეთის შეერთებული მოქმედებანი, რათა მიაღწიონ კორფუს ევაკუაციას იტალიელების მიერ.

სკანდინავიის სახელმწიფონი იმუქრებიან ლიგიდან გამოსვლით, თუ იგი არ გადასწყვეტს კონფლიქტს.

საბერძნეთის მთავრობამ ერთი მილიონი დრახმა აღუთქვა იტალიის მისიის წევრთა მკვლელების აღმომჩენს.

იტალიის წარმომადგენელმა ათინაში განუცხადა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ კორფუს ოკუპაციით გამოწვეული ხარჯები გაეწერება საბერძნეთს.

საკონტრიბუციო საკითხი.

ლონდონი. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ შტრეზემანს კარგად აქვს შეგნებული, რომ გერმანიამ უნდა აირჩიოს ორში ერთი: ან სამოქალაქო ომი და ქაოსი ან სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარება. ამიტომ განაცხადა მან ისე ენერგიულად, როგორც აქამდის არავის განუცხადებია, რომ გერმანია თანახმაა გადაიხადოს კონტრიბუცია და წარმოადგინოს მისი გარანტიები. ამით იგი მასიურ წინაწყმდეგობას ართმევს თავის მნიშვნელობის ნაწილს. გაზეთი ფიქრობს, რომ ეს წინადადება მეტად მოხერხებულია საფრანგეთისათვის, თუ მას მართლა კონტრიბუციის მიღება უნდა და არ მიისწრაფვის ნექსიისაკენ.

რომი. სენ ბრიეში წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ გაიმეორა საფრანგეთის გადაწყვეტილება მტკიცედ დაცვა ვერსალის ხელშეკრულებისა და სარეპარაციო გადასახადების აღსრულება რათაც არ უნდა დაუჯდეს იგი.

უცხოეთი

პარიზი. საფრანგეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ მცირე ანტანტის შემდეგი კონფერენცია მოხდება ახლო მომავალში ბელგრადში.

ბერლინი. რევოლიუციისაკენ მოწოდებისათვის მთავრობამ გაზეთი „როტე ფანე" დახურა ერთი კვირით.

— **კონსტანტინოპოლი.** აქაური გაზეთების ცნობით ახალი კაბინეთის შემადგენლობა ასეთია: ფეხტი-ბეი - თავმჯდომარე შინაგან საქმეთა კომისარი, მუსსა—კიაზიმ—ეფენდი—კულტურულ საქმეთა, სეიდ-ბეი—იუსტიციისა, ისმეტ-ფაშა—საგარეო საქმეთა. სეფა-ბეი—სახალხო განათლებისა და სხვ.

ლონდონი. ბალდვინი უარყოფს იმ ხმებს, ვითომც ისა და მისი ამხანაგები რუსეთიდან გულგატეხილნი დაბრუნდნენ და ამბობს, რომ პირიქით, ისინი განცვიფრებული არიან იმ მიღწევებით, რომელიც მოიპოვა რუსეთმა. რუსეთის აღდგენა ყოველ ეჭვს გარეშეაო.

ლონდონი. ირლანდიის არჩევნებში რესპუბლიკანელებმა მიიღეს 44 ადგილი 153-დან. რესპუბლიკანელები თხოულობენ დე-ვალერის განთავისუფლებას.

მუშათა მოძრაობა

ლონდონი. გაიხსნა ტრედ-უნიონების კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილია 4,500,000 წევრი. წინანდელ წლებთან შედარებით წევრთა რიცხვი შემცირდა.

ლონდონი. ამერიკის ქვა-ნახშირის მთხრელთა გაფიცვების გამო, იქიდან დიდ შეკვეთას იღებს ინგლისი. ინგლისის ქვანახშირის მთხრელთა ფედერაციის მდივანი კოდჟესი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკასთან ინგლისის და ამერიკის ნახშირის მთხრელთა შეთანხმებით მუშაობის შესახებ გაფიცვების შემთხვევებში.

ვენა. ბესარაბიის კომპარტიის ბელადებს ბუდნოვსკისა და ტკაჩენკოს ებრძანათ ერთ თვეში დასტოვონ ეს მხარე.

ვენა. 8 და 9 სექტემბერს სამხრეთ-სლავიის მუშათა დამოუკიდებელი პარტია ყველა პროვინციებში აწყობს დემონსტრაციებს ბოლგარეთში გამეფებულ თეთრი ტერორის პროტესტის ნიშნად.

პროფ. ა. დიდებულიძის მეთაურობით მყინვარზე გამგზავრებული ექსპედიცია.

კარგად ჩავედით სტეფანწმინდაში. 26-ს დილით, 10—ნახ. საათზე გავედით ტფილისიდან. ღამე ვიყავით ფასანაურში. 27-ს დილის 5 საათზე გავედით ფასანაურიდან და სტეფანწმინდაში ვიყავით დილის 11 საათზე. იმავე დღეს და მეორე დღეს სწარმოებდა დაკვირვება-გამოკვლევები.

28-ს ავედით სამების ეკლესიაზე, სადაც დიდი დღესასწაული იციან. მოხევეები დიდი სიხარულით გვხვდებოდენ, უმთავრესად მათ ახარებდათ ის, რომ ჩვენ ვიყავით ქართველები. შევარდნებს-სპარტაკელებს ვერ ჩაუსწარით: ერთი დღით ჩვენზე ადრე გასულან.

ჩვენ კი დღეს, 29-ს შეუდექით მყინვარზე ასვლას. გავდივართ სტეფანწმინდიდან დილის 8—ნახ. საათზე. მყინვარიდან ჩამოვიდენ გამყოლები და გადმოგვცეს ცნობა სპარტაკელთა შესახებ. 27—ქალ-ვაჟი ასულა ერმოლოვის ქოხამდის, 18 კი ასულა თვით მყინვარის წვერზე. ძალიან მარდათ ადიოდენო, როგორც ქალები, ისე ვაჟები.—გვეუბნებოდენ გამყოლი მოხევეები.

ამინდი კარგი დგას. ხელს გვიწყობს მყინვარი—პატარძალი, როგორც მოხევეები მას ეძახიან, ხან გადასუფთავებულია, ხან კი ნისლით იფარება. საერთოდ დიდებული სანახაობა ყველას გვიტაცებს. მხნეთ მივიწევთ მყინვარისაკენ.

ყველანი კარგათ ვართ. უთვლით სალამს ყველას.

ვსთხოვთ გაზეთებს „კომუნისტ"—ს და „მუშა"—ს გადაბეჭდონ ეს მოკლე ცნობა.

სამეცნიერო ექსპედიციის წევრი მკურნალი სოსო ასლანიშვილი.

29 აგვისტო. სტეფანწმინდა.

ახალი ამბები

— **ქართული ენის კურსები.** ქართული ენის კურსების მოსაწყობად დამზღვევ კასის მოსამსახურეთათვის დამზღვევმა კასამ გადასდო საჭირო თანხა კულტ ფონდიდან.

— **კვირეული წარმოება-დაწესებულებების დასათვალიერებლად.** უახლეს ხანში დაიწყება კვირეული წარმოება-დაწესებულებების დასათვალიერებლად. კვირეულის მიზანია გამოარკვიოს თუ როგორი სისწორით ხდება მუშა მოსამსახურეთა სამსახურში მიღება და დათხოვნა. ამ მიზნით ტფილისი დაყოფილია 10 რაიონად.

— **ახალგაზდა უმუშევართა დაგზავნა სამუშაოზე.** შრომის ბირჟასთან არსებულმა ახალგაზრდათა უმუშევართა სექციას შუამდგომლობის თანახმად, შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ დადგენილია, რომ ახალგაზრდა უმუშევრები სამუშაოზე პირველ რიგში გაიგზავნონ.

— **შრომის ბირჟაში.** 5 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 540 უმუშევ., ახლად ჩაეწერა 5 უმუშევ, სამუშაოზე გაიგზავნა 95 უმუშევარი.

— **ცემენტის ქარხანა სოფ. კავთისხევში.** თანახმად ამხ. თედო ღლონტის მოხსენებისა, და აღმასკომში მის მიერ წარდგენილ პროექტისა, აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა; სოფ. კავთისხევში ცემენტის ქარხნის გახსნის პროექტი დაურიგდეს გასაცნობლად პრეზიდიუმის ყველა წევრებს. შემდეგ ეს საკითხი დაისვას განსახილველად პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე.

— **წყალდიდობისაგან სარდაფების დაცვა.** რიყეზე წყალდიდობისაგან სარდაფებში დარჩენილ წყლის და უსუფთაობის გაწმენდისათვის და აგრეთვე მომავალში წყალდიდობისაგან უზრუნველყოფისათვის, ქალ. აღმ. მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას, რომ ტეხნიკურ კომისიის საშუალებით გამოარკვიოს რა წესით უნდა იქნეს გაწმენდილი წყლით სავსე სარდაფები აგრეთვე რა ღონისძიება არის საჭირო, რომ შემდეგ აღარ განმეორდეს ასეთი მოვლენა.

— **პ. ჩხენკელის ხელოვნურ წყლების ქარხნის ჩამორთმევა.** საქ. საბ. ცენტრალურ აღმასკომ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობა, რათა მოქ. პ. ჩხენკელს ჩამოერთვას ხელოვნური წყლების ქარხანა და საწყობი, და გამოცხადდეს სახელმწიფო კუთვნილებათ.

— **სპარსელ ქართველების წარმომადგენლების სამშობლოში დაბრუნება.** სრ. საქ. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სპარსელ ქართველების წარმომადგენლის ს. იოსელიანის ფერეჰიდანში დასაბრუნებლად გასაწვევი ხარჯები მიიღოს თავის თავზე.

— **წითელ-არმიელები და კოოპერაცია.** რკინის-გზის კოოპერატიულმა მომხმარებელმა საზოგადოებამ (ზაკტპო) დაადგინა დივიზიის წითელ არმიელებს მიეცეთ უფლება ისარგებლონ კოოპერატივიდან, როგორც სრულუფლებიან წევრებს.

— **ქალის დაჭრა.** მე-4-ე რაიონში მუხრანის და ბარიატინის ქუჩის კუთხეში რუბენ მოსესოვმა დასჭრა სასიკვდილოთ ლიდა შატიკოვისა, რომელიც გაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში საექიმოდ. ბოროტმომქმედი შეპყრობილია.

— **უბედური შემთხვევა.** სოფ. ყარაიაზში მცხოვრებ ახმეტ გუსეინ-ოღლისთან მისულა სოფელ კარატანის მცხოვრები ბარაგებ კაზარიანცი, წვიმისაგან თავის შესაფარავად. გათენებისას ჩამონგრეულა თარო და შიგ მოუტანია კაზარიანცი, რომელიც გარდაიცვალა.

— **ვალიუტის კურსი.**

5 სექტემბერი.

ჩერვონეცი	46,400,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	45,500,000 „
ჩეკი.	45,000,000 „
დოლარი ეფექ.	99,00,000 „
ჩეკი.	92,00,000 „
ოსმალური ლირა	6,500,000 „
საბჭოთა ფული	21,000 „

პარტიული

დღეს, 7 სექტემბერს, პარტიულ ბიუროში დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის გამგეობის სასწრაფო სხდომა. ამხანაგებს ეცალებათ გამოცხადდენ აღნიშნულ სხდომაზე საღამოს სრულ 7 საათზე.

პრეზიდიუმი.

შაბათს, 8 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. მემ. სოც. ფედ. ქალთა განყ. ოთახში ლორის მელიქოვის 1) დანიშნულია პარტიულ ქალთა კრება. გასარჩევია ფრიად საინტერესო საკითხები.

წევრებს ეცალებათ გამოცხადდენ აუცილებლად აღნიშნულ დროზე.

ორი მასწავლებელი

ჩვენ ვლაპარაკობთ ორ საყვარელ ძველ მასწავლებლებზე!.. **პეტრეზე** და **სილოვანზე**.

პეტრე მირიანაშვილი და სილოვან ხუნდაძე!..

აი, ეს ორი მასწავლებელი, რომელთაც ქართველ ერს უდიდესი ღვაწლი დასდეს!..

ყბად აღებულ შოთას ენას, ილიას და აკაკის ტკბილ ქართულს აღმოსავლეთ საქართველოში ქართულ გიმნაზიის უხუცესი მასწავლებელი პეტრე მირიანაშვილი იფარავდა—ინახავდა და გულით ატარებდა...

ვის არ ახსოვს რუსიფიზმის ტლანქ არტისტების რედოლფ-ლარიონოვების თავდასხმები ქართულ გიმნაზიაზე. ეს გიმნაზია ყელზე ადგებოდათ რუსეთის იმპერიალიზმის წარმომადგენლებს...

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ქართული გიმნაზიები იყო ის ორად ორი დაწესებულება სადაც ქართულ ენას თავი შეეფარებია, იქ ქართულ ჰაბუკს მშობლიურ ჰანგებზე ზრდიდენ!..

სხვაგან ყველგან დევნილი იყო ქართული ენა!..

ქუთაისის და ტფილისის ქართული გიმნაზია აი ორი ძვირფასი სკოლა, სადაც ადგილი ჰქონდა ქართულს.

ქართული გიმნაზიები ის ტაძრები იყო, რომელთა ზღუდეში კიდევ სცოცხლობდა ქართული სული.

ყოველ წლიურად სამი ათასამდე ქართული ბავშვი სწავლობდა ამ სასწავლებლებში.

ამ სასწავლებლის იმედით შემცქერალი იყო ძლიერი ქართველი მოაზროვნე და მედგარი პატრიოტი **არჩილ ჯორჯაძე**.

და განა არ გაამართლა იმედი ქართულმა გიმნაზიამ?.. კიდეც გადააჭარბა...

ვინ იყვენ ის ქართველები თუ არა ქართული გიმნაზიელები, რომელთაც რევოლიუციის პროცესში ძლიერი ეროვნული მუშაობა დაიწყეს?.

1918 წ. უმთავრესად ქართული გიმნაზიელები იყვენ სხვა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს რომ აქართველებდენ...

დღეს ცხოვრების ყველა ფრონტზე შეხვდებით თქვენ ქართულ გიმნაზიელს!..

ჯერ დღესაც ბევრ ქართველს უჭირს ქართულად აზროვნება, ქართულად წერა და ქართულად ლაპარაკი. ხოლო ხუთი წლის უკან ჩვენი ინტელიგენცია ვინ არ იცის, რომ მთლად **მორუსულე იყო**!..

მაშინ გვჭიროდა ჩვენ ეროვნულ კულტურაზე და სულზე აღზრდილი კადრი, ეს კადრი მივიღეთ ქართულ გიმნაზიებიდან...

შემდეგ იზარდა იგი და ზღვად გარდაიქცა... აქედან ცხადია, თუ რა ძვირფასი უნდა იყოს ჩვენი ისტორიისათვის ქართული გიმნაზიის მეთაურ—მასწავლებელნი და რა სასიამოვნო მათი მოგონება!..

მაგრამ ამ მცირე წერილში ჩვენ მხოლოდ პეტრეზე და სილოვანზე ვლაპარაკობთ.

ტფილისში პეტრე იყო ქართული ენის თავგამოდებული დამცველი.

ქუთაისში სილოვანი.

დღეს მათი ყოფილი მოწაფენი უკვე ვაჟკაცები არიან და სახელოვან მასწავლებლების ყოფილ მოწაფეებით ამაყობენ...

რევოლიუციონური და რაინდულია მათი ახლო წარსული...

როცა რუსიფიკატორი კორიცკი დაუჯახა ქუთაისის ქართულ გიმნაზიას და [illegible] დომმა, აქ მან შეიხვედრა [illegible] ვანისა და აგრეთვე [illegible] ნსვენებულ იოსებ ოცხელი.

კორიცკიმ სილოვანი გადააყენა. გადასტანული იყო აგრეთვე იოსებ ოცხელიც, მაგრამ ის მალე აღადგინეს უფლებებში.

სილოვანი რჩებოდა ქართულ გიმნაზიის გარეშე, თუმცა ქართ. გიმნაზია უსილოვანოდ წარმოუდგენელი იყო.

ტფილისში არც პეტრეს ადგა კარგი დღე. რუდოლფის რევიზორებისაგან...

მაგრამ რევოლიუციამ „ამ ქვეყნის ბუმბერაზნი და ქართველი ხალხის ჯალათ მაჯლაჯუნები გააკამტვერა.

ქართველი ერის ცნობილი ქომაგი ქართული ოქროპირი, კ. აბაშიძე, რევოლიუციამ სახ. განათ. ფერხულში ჩააბა!..

განსვენებულმა კიტამ ქუთაისიდან კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროს რუდოლფის წარუგზავნა დეპეშა სილოვანის უფლებებში აღდგენის შესახებ.

რევოლიუციით შეძრწოლებულ რუდოლფის პასუხი კიტასადმი დაახლოვებით, მგონი ასეთი იყო... Ваше сиательство хадатаиство Ваше уважено—испектор дворянской кутаисской гимназии возстановлен в правах". მეორე დეპეშა მიეცა თვით სილოვანს რუდოლფისაგანვე; „Сообщаю Вам, что Вы возстановлены в правах—предлагаю вступить в исполнение своих обязаностей. ახლა პასუხი სილოვანისა რუდოლფისადმი... Я возстановлен в правах не вами, а революцией и народом. Ваше возтановление мне не нужно". როგორც ზემოდ მოგახსენეთ შეიძლება ჩვენ ვსცდებით დეპეშის ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოცემაში...

ჩვენ არ გვჭირდება მჭერმეტყველება ქართული თავმოყვარეობის ამ დამცველზე პასუხი ჭეშმარიტად ძვირფასია ისტორიისათვის. სილოვანი ამაყი იყო და ამაყი დარჩა.

როცა კორიცკი მიბრძანდა ქართულ გიმნაზიაში თავის ხულიგნურ ზრახვებით, სილოვანმა ამ რუსის შოვინისტს ხელი არ ჩამოართვა!..

რა თქმა უნდა, ამ პატარა საგაზეთო წერილში ჩვენ ვერ შეეძლებთ ძვირფას მასწავლებელთა დიად ამაგის ყოველ მხრივ აღნუსხვას.

ამ შენიშვნაში ჩვენ ვამბობთ იმას, რასაც სილოვანის და პეტრეს ყველა ნამოწაფარი და ქართველი საზოგადოებაც გრძნობს.

სახელდობრ ამ ორ უხუცეს მასწავლებელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა **დღესასწაული უყო და გაუმართოს.** თუ ვისმეს შეჰშვენის იუბილე პირველ ყოვლისა პეტრეს და სილოვანს...

პეტრეს და სილოვანის იუბილე იქმნება მეგარ რევოლიუციურ ბრძოლით დაცულ ქართულ სულის და კულტურის ისტორიული დემონსტრაცია...

ვსწერთ რა ამ მცირე შენიშვნას პროვინციიდან იმედი გვაქვს ცენტრი მას ფართედ გამოეხმაურება!..

ჭეშმარიტი მასწავლებლები და ბევრ სახელოვან შვილის ამღზრდელნი, ქართული მწერლობის მუდმივი მუშაკნი პეტრე და სილოვანი ვინ იტყვის რომ ამის ღირსი არ არიან!..

ევროპიელი.

მინაწერი: ეს ერთი ხანია ჩვენ განვიზრახეთ დავსწეროთ სპეციალი მორნოგრაფია ქართულ გიმნაზიების შესახებ.

ჩვენის ფიქრით ეს აუცილებელია ქართველ ინტელიგენციის ახალ ისტორიის მასალების გასადიდრებლად. ამ მორნოგრაფიაში უნდა მოთავსდეს:

1. ქართულ გიმნაზიების ისტორია (დაარსება.)
2. მასწავლებლების დახასიათება...
3. მთავრობის დამოკიდებულება და დამახასიათებელი მიწერ-მოწერა.
4. კურს დამთავრებულთა გამოშვება.
5. კურს დამთავრებულთა მოღვაწეობა დღეს.
6. ქართულ საზოგადოების დამოკიდებულება ქართულ გიმნაზიისასადმი.
7. ქართველ მოღვაწეთა-პუბლიცისტთა და პრესის აზრი ქართულ გიმნაზიის შესახებ.
8. ღირს აღსანიშნავი მომენტები ქართულ გიმნაზიების ცხოვრებიდან.

განვიზრახეთ რა ეს და შეუდექით რა უკვე ზოგად მუშაობას ჩვენ უუმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ყველა იმაზე, ვინც მართებულად და საკარგებლოდ ჩასთვლის ჩვენ განზრახვას - მოგვაწოდოს საკუთარი მოგონებანი, წერილები და დოკუმენტები. და აგება—კლასიფიკაციისთანავე ჩვენ შევეცდებით მის გაზეთში დასტამბვას, რაც შემდეგ ცალკე კრებულად გამოიცემა.

ჩვენი მისამართი: ქ. **სამტრედია,** ადგილობრივ ტეხნიკუმში **ევროპიელს.**

ან ტფილისში **„ტრიბუნის"** რედაქციას.

—:—

რედაქციისაგან: აღძრული საკითხი უსათუოდ აინტერესებს მთელ ქართველ საზოგადოებას, განურჩევლად მდგომარეობისა და განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობა ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს და აქედანვე მიიღოს ზომები, შეუდგეს მზადებას, რომ ეს ორი უებარი მუშაკი ქართული კულტურისა ღირსეულად დააფასოს მათმა მემკვიდრე თაობამ.

წერილები საქართველოს ებრაელებზე.

(გაგრძელება)

2.

მსოფლიო ომმა მრავალ წვრილ ერს ამოადგმევინა ენა; დღემდე თუ ისინი იღრჩობოდენ შეუბრალებელ თვითმპყრობელთა კლანჭებში-დღეს თავისუფლად დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ საჭიროებაზე, წამოაყენეს მოთხოვნილება: უფლებები, თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობა და სხვ.

საქართველოს ებრაელთათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო კულტურული უფლებები, რათა მათ შესძლებოდათ ერთხელ და სამუდამოთ თავი გამოეხსნათ იმ ბნელეთის ჭაობიდან, რომელშიაც ისინი არიან ჩაფლული ათეულ საუკუნეების განმავლობაში.

ებრაელის ერი შემქმნელია დიდი კულტურის როგორც წარსულში ისე აწმყოში და საქ. ებრაელმა ეს არ იცის; რათა გაეცნოს ის სხვა ერებს, სხვების კულტურას, საჭიროა მან ჯერ გაიცნოს თავისი თავი და თავის კულტურა.

ერი, რომელიც თავის თავს არ იცნობს-ის ერი დაღუპულია და საჭიროა მისი საჩქაროდ ფეხზე წამოყენება. ამ მოსაზრებებით დატვირთული გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე **დავით ბააზოვი**. ეს იყო პირველი პიონერი, რომელმაც გადმოისროლა ლოზუნგი: **„სწავლა განათლება საქართველოს ებრაელებს“**.

სტუდენტ მიხაკო ხანანაშვილს ეგონა, რომ კულტურული ნიღაბის ქვეშ დავით ბააზოვმა შემოგვაპარა სიონიზმის იდეაო და მორთო ყვირილი: „ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო ებრაელებთან, ჩვენ ქართველები ვართო“.

მიხაკო ხანანაშვილს ეგონა, რომ თუ კულტურულად საქ. ებრაელები წინ წაიწევდენ, მაშინ საჭირო გახდებოდა საქართველოში შეძენილ მამულების უფასოდ გადაყრა, სრული ლიკვიდაცია და პალესტინაში გადაბარგება. ეს კი ბურჟუაზიული ელემენტებისთვის ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ ის შეუდგა ენერგიულად ისტორიული არქივების ჩხრეკას და „უსაბუთო საბუთების“ მობილიზაციას, რითაც სურდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენ ვართ ეროვნებით ქართველები და ჩვენი სახელია **„ისრაელ ქართველები“** და არა **„საქართველოს ებრაელები“**, როგორც დავით ბააზოვს ჰგონიაო. ატყდა დაუსრულებელი პოლემიკა. მაშინდელი ქართული გაზეთები: „საქართველო“, „სამშობლო“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“, „ერთობა“ და სხვ. სულ სავსე იყო წერილებით ამ საკითხის გარშემო. 3—4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა კამათი. მიხ. ხანანაშვილს მიემხრო 2—3 სტუდენტი. ამით ამოიწურებოდა მისი ძალები.

თავდაპირველად არც დავით ბააზოვს ჰყოლია ბევრი მომხრე.

შემდეგ უკვე მის გვერდით სჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე დავით აჯიაშვილი, რომელმაც როგორც პირველმა გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა კლერიკალთა მიერ შექმნილ ტრადიციებს და მოითხოვდა კულტურულ ფრონტის შექმნას.

გაძლიერდა ამ დროს ერთი მიმართულება, რომელმაც დაარქვა თავის თავს „აგუდათ ისრაელი“. ეს ჯგუფი შესდგებოდა ხახამ-კლერიკალთა და ფანატიკურად განწყობილ ბრბოსაგან, რომლებიც ხალხს უქადაგებდენ, რომ დაიგვიანებს „მესსიის“ მოსვლა, თუ თქვენი შვილები გიმნაზიებში შეიყვანეთ და მიეცით მათ უცხოელთა სწავლაო.

მათ დიდი გავლენა ჰონდათ ხალხზე და ყოველი სიტყვა-გულშემატკივართა—რჩებოდა „მღაღადებელ ხმად უდაბნოსა შინა“.

„აგუდათ-ისრაელმა“ გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ყოველ სტუდენტს, ყოველ მოსწავლეს, ინტელიგენტს, ერთი სიტყვით ყოველ კულტურულად მოაზროვნე ადამიანს.

ქუთაისის ებრაელთა ქუჩებზე „ტერორისტების“ შიშით სახიფათო იყო გავლა და ყოველი სტუდენტი ერიდებოდა რელიგიის დამცველ მკლავაძეებს.

აქვე საჭიროა აღინიშნოს ისტორიული სამწუხარო მოვლენა: დ. ბააზოვი სამი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ გაზეთებში და ყველგან სიამოვნებით უბეჭდავდენ წერილებს, მხოლოდ როდესაც გამოჩნდენ „ხანანაშვილები“ და ყველას გაუჭექეს ყურები თავიანთი „ქართველობით“, მაშინ ქართული პრესის სიმპატია შეიცვალა ხანანაშვილებისადმი და მოწინააღმდეგებს საშუალება წაერთვათ ქართულ პრესაში ხმის ამოღებისა.

ერთად ერთი—ია ეკალაძე დარჩა, რომელიც არ მოიხიბლა „ხანანაშვილების გულკეთილობით და ქართველობით“.

თუ ამას სჩადიოდენ ნაციონალისტურად განწყობილ წრეებში ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ **„ერთობამ“**, ამ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანომაც მხარი დაუჭირა „მოქართველე“ ვაუბატონებს და დაუკეტა გაზეთის კარები ხანანაშვილების მოწინააღმდეგეებს.

მაგრამ ამავე დროს ძლიერდებოდა ქ. ქუთაისში „საქართველოს ებრაელ სტუდენტთა ორგანიზაცია“, რომელმაც შესძლო და მოკლე ხანში გამოუშვა 15 ნუმერი გაზეთი „ხმა ებრაელისა“. ამ გაზეთის საშუალებით ისინი მიმართავდენ თავისუფლად მთელ საქართველოს ებრაელებს და მიუთითებდენ მათ ჭირ-ვარამზე, ამ გაზეთის საშუალებით ისინი თამამად უყენებდნენ მენშევიკურ მთავრობას სხვა და სხვა გვარ მოთხოვნილებებს.

ამ გაზეთში სჩანან კულტურული ძალები. აქ იყრიან თავს: ნათან ელიაშვილი,—(ცნობილი საზოგადო მოღვაწე საქ. ებრ. შორის, რომელმაც სთარგმნა ებრაულიდან პიესა: „იძულებულნი“ და დაბეჭდა „თეატრსა და ცხოვრებაში“) სტუდენტები იოსებ მოშიაშვილი, სოლომონ დავ. ციციაშვილი და სხვ.

იქამდე მიაღწია „აგუდაელთა“ ფანატიკოსობამ, რომ გამოცხადებული იყო ბოიკოტი („ხერემი“) „ხმა ებრაელისას“ მკითხველებზე, გარდა ამისა მათ შეიმუშავეს მთელი მემორანდუმი, რომელიც სურდათ წაედგინათ მთავრობისათვის. რომელშიდაც სხვათა შორის იყო მოხსენებული აგრეთვე რომ დაკეტილიყო „ხმა ებრაელისა“.

მოახლოვდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ქ. ტფილისში მოხდა საქართველოს ებრაელთა კონფერენცია, რომელმაც აარჩია სამი დელეგატი (ექიმი შტრეიხერი, დავიდ ბააზოვი და ექიმი კაკიტელაშვილი) მაგრამ ეს დელეგატები არ იყვნენ რელიგიურად მოაზროვნე „აგუდას“ სულისკვეთების გამომხატველნი და შეუდგნენ ბრძოლას ამ არჩევნების საწინააღმდეგოდ. მენშევიკურმა პარტიამ დაუთმო ორი ადგილი „აგუდას“ თავის სიაში. ამის მეოხებით საქართველოს ებრაელებმა მისცეს ხმა მენშევიკურ პარტიას, ხოლო მენშევიკური პარტიის საშუალებით გავიდა დელეგატად ვინმე ხახამ მოშე დავარაშვილი, რომელიც იყო წარმომადგენელი მხოლოდ ქუთაისის „ხახმეპისა“ და ზოგიერთ ვაჭრებისა.

სრულიად კანონიერად კონფერენციაზე არჩეულ დელეგატებს კი მთავრობამ უარი უთხრა და გააუქმა მათი მანდატები.

აი ასე ამგვარად გამონახეს საერთო ენა ორი უკიდურესობის (სოციალისტების და კლერიკალ ფანატიკოსების) ჯგუფებმა.

როცა დამფუძნებელი კრებიდან „დელეგატი“ დაბრუნდა ქუთაისში და მოხსენებას აკეთებდა თავისი „მისიის“ შესახებ, და-ერთი სტუდენტი შეეკითხა: რა გააკეთა მან ებრაელთა საკითხის შესახებ, დელეგატმა უპასუხა, რომ [illegible] ებრაელთა საკითხი **არ იყო და ძალით ხმა არ გაბრაქვალდა**“.

აი ეს ხაზგასმული [illegible] ყველამ შეიტყოს, რომ [illegible] ლა საცოდავი საქართველოს ებრაელობა, მაგრამ-დადგა დრო როცა უნდა ითქვას: **ჩვენ არ გვჭირია არავის „აპეკუნობა“ ჩვენ არ გვინდა რომ კიდევ უურით გვათრიონ, მოგვეცით საშუალება და ჩვენ მოუვლით ჩვენ თავს.**

გერცელ ბააზოვი.

(გაგრძელება იქნება)

ხარკები და სავაჭრო სამრეწველო სტატისტიკა.

—ეკონომიური მოვლენები ესოდენ რთულია, რომ მის ლაბირინტში მეტი სიცხადე შევიტანოთ საჭირო არის მეთოდოლოგიური დაკვირვება და ყველა იმ საშვალებათა გამოყენება, რომელსაც იძლევა მეცნიერება.

ერთი ასეთი მეცნიერებათაგანია-სტატისტიკა უკანასკნელის საშუალებით ჩვენს წინაშე იხსნება დიდი ხნით გაურკვეველი ეკონომიური მოვლენები.-დასავლეთ ევროპაში ამ მხრით დიდ შედეგებს მიაღწია და სახელმწიფო მართველობამ ამით თავის ბიუჯეტში გარკვეულება შეიტანა. სახელმწიფოს დანიშნულება მოქალაქეთათვის სამსახურში უნდა გამოიხატებოდეს, იგი ხელს უნდა უწყობდეს სახალხო განათლებისათვის ზრუნვას, პირობების შექმნას, როდესაც მოქალაქეს შეეძლება ნორმალური მუშაობა, წარმოების და მერნეობის განვითარების ხელის შეწყობა და სხ. აღნიშნულ მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფოს ორგვარი საშუალება აქვს: 1) შემოსავალი **საკუთარ მეურნეობა წარმოებიდან და ვაჭრობიდან** და 2) **ხარკები**. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც კერძო უფლებრივი მეურნე და იგი თავისებურ შეჯიბრებაშია კერძო მეურნეობასთან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას (სახელმწიფოს) არ შეუძლია ერთად ერთი მოგება დაისახოს მიზნათ, როგორც კერძო მეურნეობას. სახელმწიფო თუმცა სდგას ამ შემთხვევაში კერძო უკლებრივ ნიადაგზე, მაგრამ თავის მოქმედების დროს ხელმძღვანელობს მოქალაქეთა საერთო კეთილ დღეობის თვალსაზრისით (მაგ. ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზა, ფულის მოჭრა და სხ.).

მეორე წყარო, საიდანაც სახელმწიფო ეძებს საშუალებას ხარჯების დასაფარავად, არის ხარკები. ხარკი არის გაღება მოქალაქეთა მიერ თავის ქონების ნაწილისა სახელმწიფოს სასარგებლოთ, რომლის აღების დროს სახელმწიფო ეპყრობა იძულებით ზომას და არ გულისხმობს უკანასკნელის მიერ, რაიმე ნივთიერ დოვლათის შექმნას.

ამგვარად საძელმწიფოს თავის არსებობისა და გაძლიერებისათვის ორი წყარო აქვს: საკუთარი მეურნეობა და ხარკები. კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში სახელმწიფოს შემოსავლის უმთავრეს ნაწილს შეადგენს შემოსავალი ხარკებიდან და, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ხარკი აგებულია ზოგად მოსაზრებაზე და მოკლებულია რეალურ ნიადაგს; ხარკის გაწერის დროს ადგილი აქვს თვითნებობას; არ არის დაცული წონასწორობა და იმ დროს, როდესაც ერთი გადამეტებით იბეგრება, მეორე სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან ასეთი შემთხვევები ქმნიან ნიადაგს ბოროტ მოქმედებისათვის და სახელმწიფოს ბიუჯეტი ვერ სრულდება. განმეორებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ზემო აღნიშნულს ადგილი აქვს იქ, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა განვითარების პირველ სტუდიაშია და მოვაჭრე-მრეწველთა კულტურული დონე ისე დაბლა დგას, რომ მათ ვერ შეუგნიათ თავის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე: არ აქვთ გათვალისწინებული რომ სახელმწიფო ქმნის პირობებს ნორმალურ ვაჭრობა მრეწველობისათვის და თუ ვაჭარ-მრეწველნი დამალავენ თავის ეკონომიურ დოვლათს და არ გაიღებენ მსხვერპლს, ასეთ შემთხვევაში ერთი მხრით სახელმწიფო ვერ შესძლებს შეასრულოს თავის ვალდებულება და მეორე მხრით კი ადგილი ექნება თვითნებობას ხარკების გაწერის დროს და როგორც ერთი ისე მეორე უარყოფითი პირობებს შექმნის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. დღემდე ფინანსთა კომისარიატს მეტად სუსტი მასალა ქონდა ხარკების გაწერისათვის, რის შედეგია ხარკის განაწილება არა ეკონომიურ შესაძლებლობასთან შედარებით. აქ ჩვენ არ შეუდგებით საერთოდ გადასახადთა ისტორიას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ როდესაც ვაჭრობა-მრეწველობა განვითარების ფაზაში შედის რეპარტაციული სისტემა ადგილს უთმობს ხარკების ახალი ფორმით განაწილებას. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა გადასახადს დაფუძნებულს ანგარიშიანობაზე.

ასეთია შემოსავლის კვალობაზე გადასახადი და სარეწაო გადასახადი; აღნიშნული გადასახადი ერთმანეთის შესაფერი არიან და საგადასახადო აპარატის მოქნილებისა და გადამხდელთა გათვითცნობიერების შემდეგ. ყოველი ხარკი უნიფიკაციისაკენ მიისწრაფვის—შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაკენ, მაგრამ უკანასკნელის შემოღება შეუძ-

საქართველოს მთავარ ქალაქთა მოსახლეობა 1922 წ. საქალაქო აღწერით.

(სტატისტიკის ცენტრალი სამართველოს მასალებიდან)

ქ. ტფილისის მოსახლეობა 1922 წ. აღწერის მიხედვით უკვე განხილული იყო. ამ ჟამად მოგვცეს ამავე აღწერის შედეგები საქართველოს დახარჩენ მთავარ ქალაქების შესახებ: (**ბათომის, ქუთაისის, სოხუმის და ფოთის**).

აღწერის მიხედვით მოსახლეობის საერთო რაოდენობა ამ ქალაქებში შემდეგია:

ბათომი	—	60.810
ქუთაისში	—	45.290
სოხუმში	—	17,426
ფოთში	—	11.358

(ბათომის, სოხუმის და ფოთის მოსახლეობის რიცხვში შედის აგრეთვე მათი ნავთსადგურებიც, ხოლო ქუთაისში რკინის გზის ხაზი).

წინა აღწერების მიხედვით ირიცხებოდა მცხოვრები:

	მოსახლ. რაოდ.	აბსოლ. მატება	საერთო პრ. მატებისა	წლ. საშ. პრ. მატ.
ბათომი:				
1897 წ.	28.508	—	—	—
1917 წ.	35.048	16.540	58,0	1,04
1922 წ.	60.810	25,705	73,3	11,6
ქუთაისში:				
1897 წ.	32,476	--	—	—
1917 წ.	42.448	9.972	30,7	1,4
1922 წ.	45,290	2.842	6,7	1,3
სოხუმში:				
1897 წ.	7,998	—	—	—
1917 წ.	9,999	2,001	25,0	1,1
1922 წ.	17,426	7,427	74,3	11,7
ფოთში:				
1897 წ.	7,346	—	—	—
1917 წ.	10.604	2.358	32,1	1,8
1922 წ.	11,358	754	7,1	1,3

როგორც სჩანს პირველ პერიოდში (1897—1917) ყველა ამ ქალაქების მოსახლეობის ზრდა თუმცა ნელი, მაგრამ თანაბარი ტემპით მიმდინარეობს: ყოველწლიური საშუალო პროც. მატებისა ამ ხნის განმავლობაში თითქმის ერთი და იგივეა (1,0—1,8). სჩანს ამ ქალაქთა ცხოვრება ამ ხნის განმავლობაში ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა (ეს ნორმალური მდგომარეობა იმდენად წყნარი და ურყევია რომ უფრო უმოძრაო მდგომარეობას უახლოვდება) და არა ჰქონია ადგილი სოციალ ეკონომიური ცხოვრებაში ისეთ შემთხვევით და არა ჩვეულებრივი ხასიათის მოვლენებს, რომელთაც შეეძლო გამოეწვიათ მოსახლეობის შედგენილობის შესამჩნევი რყევა და გარდატეხანი ან ერთის ან საწინააღმდეგო მიმართულებით.

სწორედ ასეთივე ნელი და თანაბარი ტემპით განაგრძობს სვლას ქუთაისის და ფოთის მოსახლეობა მეორე პერიოდშიაც ე. ი. 1917—1922 წ., ხოლო რაც შეეხება ბათომს და სოხუმს ამ პერიოდში, ეს ქალაქები უკვე დიდ და არაჩვეულებრივ ნახტომს აკეთებენ. 5 წლის განმავლობაში ეს ქალაქები იძლევიან 73—74 პროც. მატებას, რაიცა შეადგენს ბათომისთვის 11,6 და სოხუმისთვის 11,7 პროც. ყოველწლიური საშუალო მატებისას.

ასეთი თავბრუდამსხმელი სისწრაფით ზრდა ქალაქისა იშვიათია არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთ ევროპის სამრეწველო და სააღებ-მიმცემო ცენტრისათვის და ამერიკის ქალაქებისთვისაც კი, რომელნიც ცნობილნი არიან ამ მხრივ.

როგორც ცნობილია, წლიური საშუალო პროც. მატებისა დასავლეთ ევროპის და თვით ამერიკის მსხვილ ქალაქებშიაც კი არ აღემატება 3,5—4,0—ს მაშინ როდესაც ბათომი და სოხუმი ბევრად აჭარბებენ „ამერიკულ სისწრაფესაც“ კი და იძლევიან 11 და რამდენიმე მეათედ პროც. რით აიხსნება ასეთი ზღაპრული ზრდა ჩვენი ზღვის ქალაქებისა? უპირველესად ყოვლისა ცხადია, რომ ასეთი დიდი პროც. ზრდისა უნდა ვეძიოთ მოსახლეობის მექანიკურ და არა ბუნებრივ მოძრაობის პირობებში, მაგრამ იბადება საკითხი: არის თუ არა ეს მოვლენა ბუნებრივი შედეგი ქალაქის ეკონომიური ცხოვრების ნორმალური განვითარებისა, თუ გამოწვეულია იგი რომელიმე შემთხვევითი და გარდამავალი მიზეზებისაგან. თუ თავის ახსნას ეს მოვლენა პირველში ჰპოვებს, მაშინ უნდა მივიღოთ იგი როგორც ფაქტი ბუნებრივი დასაბამის და ამასთან უაღრესი მნიშვნელობის, ხოლო თუ იგი შედეგია მეორე კატეგორიის პირობებისა, მაშინ მისი გამძლეობაც ისეთივე იქნება, როგორც მისი წარმომშობი მიზეზებისა და შეფასებაც მას სხვანაირი მიეცემა.

ამ საკითხზედ პასუხის გაცემა ამ ჟამად ნაადრევად მიგვაჩნია, ვიდრე ხელთ არა გვაქვს აღწერის ცნობები დანარჩენ საკითხების შესახებ. აღწერის შემდეგი დამუშავება ახლო მომავალში მოგვცემს საშუალებას დაწვრილებით გამოვარკვიოთ ფიზიონომია იმ მასისა, რომელიც შემოსევია ქალაქს: ვინ არის იგი, როდის, საიდან და რისთვის მოსულა, რამდენი ხანია რაც ამ ქალაქში სცხოვრობს, რა საქმეს ეწევა, რა სოციალურ და კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს იგი, არის თუ არა იგი ორგანიულად დაკავშირებული ქალაქის სოციალ ეკონომიურ ცხოვრებასთან თუ შემთხვევითი და წარმავალი ელემენტია იგი. ამ კითხვების გაშუქების შემდეგ უფრო სისწორით შეიძლება მიდგომა პირველ საკითხისადმი.

მაგრამ ეხლაც არის მრავალი მოსაზრება ითქვას á priori, რომ ბათომის არა ჩვეულებრივი სისწრაფით ზრდას უფრო არა ბუნებრივი და შემთხვევითი ხასიათი აქვს, რომლის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო თვით ამ ქალაქის, არამედ საქართველოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თანამედროვე და ახალი წარსულის ეკონომიურ ცხოვრების პირობებში. მაგრამ დასაბუთება მაინც შემდეგ.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვლაპარაკობთ მოსახლეობის ზრდაზე ამ ორ ქალაქში, მხედველობაში გვაქვს, უმთავრესად ბათომი და მასზედ შეიძლება მხოლოდ დარწმუნებით ლაპარაკი, რადგან მის შესახებ ცნობები წარსული აღწერისა (1917 წ.) ჩვენ მიერ შემოწმებულია და შედეგიც მისი შედარებისა ჩვენ აღწერასთან მიგვაჩნია სავსებით მისაღებათ. ხოლო რაც შეეხება სოხუმს, ვფიქრობთ რომ მისი მოსახლეობის ზრდის ასეთი დიდი პროცენტი შედეგია უფრო 1917 წლის აღწერის უსრულობისა, ვიდრე ფაქტიური მდგომარეობისა. ამის საბუთს გვაძლევს ჩვენ მიერ მოხდენილი ცდები; სადაც კი სტატისტიკის ცენტრალ სამართველომ გაუკეთა ანალიზი 1917 წ. ცნობებს, ბევრგან აღმოჩნდა შეუსაბამობა. ამ გზით შეტანილ იქმნა კორექტივი კერძოდ ტფილისის და ბათომის შესახებ 1917 წ. ცხობებში. ხოლო სოხუმისთვის კი ასეთი კორექტივი არ ყოფილა შეტანილი.

უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მოსახლეობის ზრდის საკითხი, თუ შევადარებთ მას რუსეთის ზოგიერთ მახლობელ ზღვის პირის ქალაქებთან, რომელთანაც ბათომს თავისი ეკონომიური ცხოვრების ხასიათის მიხედვით თითქოს უნდა ჰქონდეს მსგავსება. მაგრამ აქაც ბათომი სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს, რასაც გვიჩვენებს შემდეგი:

რუსეთის უკანასკნელი საქალაქო აღწერა (1923 წ. მარტში) 1920 წლის აღწერასთან შედარებით იძლევა ასეთ საშუალო პროცენტს წლიური მატებისას:

ასტრახანში	1,0
დონის-როსტოვში	0,8
ნოვოროსიისკში	0,9
სიმფეროპოლში	3,3
სევასტოპოლში	4,8
ოდესაში	11,4

ბათომი კი 1917—1922 წ.წ. პერიოდში გვაძლევს საშუალო პროცენტს 11,6, მაშინ, როდესაც რუსეთის ზემოაღნიშნული ქალაქები მომეტებულ ნაწილად უარყოფის პროცენტს იძლევიან და ძალიან დიდსაც, (როგორც მაგ., ოდესა—11,4).

გადავიდეთ მოსახლეობის შედგენილების განხილვაზედ.

სქესის მიხედვით მოსახლეობის შედგენილობა ასეთია:

ქალაქები	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
	აბსოლ. რიც.	%	აბსოლ. რიც.	%
ბათომი	32.564	53,6	28.246	46,4
ქუთაისი	21.845	48,2	23,445	51,8
სოხუმი	8.812	50,6	8.614	49,4
ფოთი	5.646	49,7	5.712	50,3

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს ბათომს და სოხუმს აქაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მეტადრე ჭარბად არის წარმოდგენილი მამრობითი სქესი ბათომში, მაშინ როდესაც დანარჩენ ორ ქალაქში მეტია მდედრობითი სქესი.

მ. უოჩიაშვილი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელია მანამდე, სანამ ჩვენ ხელთ არ გვაქვს სისწორით შეკრებილი მასალები და სანამ არ შეგვიძლია ვენდოთ ვაჭარ-მრეწველთა დეკლარაციას. ჩვენში რასაკვირველია გადამხდელთა დეკლარაციას ვერ ვენდობით.

მაშ სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? აქ ერთად ერთი დამხმარე ძალათ სავაჭრო-სამრეწველო სტატისტიკა უნდა მივიჩნიოთ. მხოლოდ სტატისტიკას შეუძლია შეიტანოს გარკვეულობა საგადასახადო პოლიტიკაში.

ამ მხრით პირველი მუშაობა ტფილისში 1922 წ. ქალაქის სტატისტიკურ ბიურომ შეასრულა, მაგრამ მან საფინანსო განყოფილებას ვერ მისცა სრული ცნობები; 1923 წ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს მიერ მოხდენილი სავაჭრო-სამრეწველო აღწერა, რომელშიც ქალაქის სტატისტიკური განყოფილება უშუალო მონაწილეობას იღებდა, როგორც წინასწარ მუშაობაში, აგრეთვე მის ჩატარებაში, მდიდარ მასალებს მისცემს საფინანსო კომისარიატს.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერა, გვაძლევს სრულს რეგისტრაციას ვაჭრობა-მრეწველობისა და შინამრეწველობისას. იგი აღნიშნავს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ძალა-უნარს, რაც საფუძვლად დაედება მომავალში ხარკების გაწერას. ჩვენში ამ მხრით პირველი დიდი საქმე გაკეთდა და პერიოდიული აღწერა ვაჭრობა-მრეწველობისა მოგვცემს საშვალებას გავითვალიწუნოთ მისი განვითარება, რამდენადაც საჭირო იქნება ხელი შეუწყოთ მის განვითარებას და დამუშავებული მასალები საფუძვლათ დაედება საგადასახადო პოლიტიკას.

ვიკტორ მხეიძე.

სხვა და სხვა

წერილი გერმანიიდან.

(კერძო წერილიდან).

... „ყველა უმაღლეს სასწავლებლებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს; მეცადინეობა გერმანიაში უთუოდ ძლიერ კარგად არის შესაძლებელი, მაგრამ ცხოვრება დღითი-დღე ძვირდება. მტკიცე ვალიუტაზე რომ გადავიტანოთ, 3 გირ. სტერლინგათ თამამად შეიძლება ამ ჟამად აქ ცხოვრება, თუ კი ფულს მომჭირნეობით მოიხმარ.

გერმანელების სულიერი განწყობილება საშინელია, ატმოსფერა შეკუმშულია; მარკის ფასეულობა საოცარ სისწრაფით მიდის დაბლა; პირველი საჭიროების საგანთა შოვნა მაღალ ფასებშიც კი გასაჭირი არის. გერმანელებისათვის მაგ., კარტოფილი იგივეა სადილზე, რაც ჩვენთვის ჰური. ისინი მხოლოდ კართოფილით სჭამენ და უამისოთ მათ სადილი წარმოდგენილიც არა აქვთ და კართოფილი კი ამ ჟამათ არსად იშოვება. ქუჩებში რიგის გრძელი კუდებია და ხალხი საათობით იცდის; დაბოლოს მიიღებენ ხოლმე რამოდენიმე გირვანქას, ან სავსებით ხელცარიელნი წავლენ შინ. მსგავსივე ისტორიაა ერბოზეც, რომელიც დღეს (30 ივლისი) 250.000 მარკა ღირს და ვინ იცის ხვალ რა იქნება!

გერმანელები მუდამ სიძვირეზე სჩივიან; ისინი მეტად მოსაწყენნი არიან: ცივი, ვიწრონი, უთავაზიანო, მძიმენი; ჰურის ყოველ ნამცეცისათვის კანკალებენ (სრულებით არ ვაჭარბებ); უაღრესად ორაქტიკოსები და ყოველივეს ამ თვალთსაზრისით უყურებენ: დედაკაცებიდან მხოლოდ იმას მოითხოვენ რომ მან საჭმელები გემრიელად ამზადოს და იატაკი კარგად წმიდოს. გერმანელი ხშირად ამბობს (სავსებით სერიოზულად): რა სიყვარული შეიძლება, თუ კი ცოლმა საჭმელის დამზადება არ იცისო! ამის შედეგია ის, რომ ხშირად ინტელიგენტები არა ინტელიგენტ ქალებს ირთავენ ცოლად.

ზნეობრივი კანონები გერმანელებს მტკიცედ აქვთ დაცული, მაგრამ ამათზე უფრო თავაშვებული მგონი არავინ არის. ისინი ყოველივეს გარეგნულად, შესახედავათ ასრულებენ: მხოლოდ შინ იცის ყოველივე წესიერად და ქუჩაზე კი ყოველივე დასაშვებია! მე პირველად ძლიერ მაკვირვებდა ის, რომ ქუჩაზე ვხედავდი თუ როგორ ეხვეოდენ ერთმანეთს, კოცნიდენ, ახლა კი ამ სურათებს შევეჩვიე. არა მარტო ქუჩაში, ტრამვაიში, კაფეშიც, ამასვე სჩადიან და ეს არავისთვის საოცარი არ არის. მამაკაცები ქალების მიმართ ძლიერ ნაკლებად არიან თავაზიანები: ის არასოდეს არ დაუთმობს ქალს ადგილს ტრამვაიში ან სხვა ადგილას.

უცხოელებს ვერ ითმენენ; სკანდალი მათთან ხშირად აქვთ. ისინი ჩვენ, ქართველებს ფრანგებისაგან ვერ გვარჩევენ; საქართველოს არსებობის შესახებ იშვიათად იცის ვინმემ; ქართველებს რუსებათ გვთვლიან...

ზაფხული გერმანიაში ვერ არის კარგი; ხშირია წვიმები; ნამდვილი ზაფხულის დღეები არც იმდენად ხშირადაა...

საერთოდ ამ ჟამად გერმანიის მდგომარეობა აუტანელია და არავინ იცის რით დასრულდება“...

ჩვენი სკოლა

დადგენილება

31 აგვისტო, 1923 წელი.

სახალხო განათლების კომისარიატისა.

დღიდგან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა აკრძალულია საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სახმარებლად, როგორც სახელმძღვანელოები ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც არ არის გამოცემული საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ან ნებადართული სახალხო განათლების კომისარიატიდან.

მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემანი, იქნებიან დაშვებული სკოლებში სახმარებლად როგორც სახელმძღვანელოები ყოველ ცალკე შემთხვევაში, განათლების კომისარიატის მიერ.

წინადადება ეძლევა მაზრების განათლების განყოფილების, ტეხნიკუმების, შრომის სკოლების გამგეებს და ინსტრუქტორებს, რათა თვალყური ადევნონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ის პირნი, რომელნიც იქნებიან შეძჩნეულნი ამ დადგენილების დარღვევაში იქნებიან მიცემული პასუხისგებაში და გადაყენებული სამსახურიდან.

ამასთანავე ერთად ცხადდება სია იმ სახელმძღვანელოებისა, რომელიც ნებადართულია სასწავლებელში სახმარებლად.

1. ქართულ ენაში:

1. ი. გოგებაშვილი დედა ენა 1 ნაწ. გამოც.1923 წლისა.
2. კიკვაძე და ჭუმბურიძე „ჩვენი სკოლა“ . . . . 1 პირ. გან. კურ.
3. „ „ „ „ . . . . 2 „ „ „
4. „ „ „ „ . . . . 3 „ „ „
5. თაბუკაშვილი განთიადი . . . . . 1 წ. 3 განყ. კურ.
6. „ „ . . . . . 2 „ 4 „ „
7. ჭუმბურიძე „თაიგული“ . . . . . 4 „ „
8. გომელაური „ჩვენი მწერლები“ . . . . . 1 „ 5 „ „
9. „ „ „ . . . . . 2 „ 6 „ „
10. „ „ „ . . . . . 3 „ 7 „ „
11. „ „ „ . . . . . 4 „ 8 „ „
12. ხუნდაძე ქართული გრამატიკა.
13. თაბუკაშვილი „მეთოდიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ.
14. ალ. ჭირაქაძე მსოფლიო ლიტერატურის ისტორია 1 დროებით.

რუსულ ენაში.

1. მასწავლებელთა ჯგუფი „ნოვაია შკოლა“ პირველი წლის კურსი.
2. გოგებაშვილი „რუსსკოე სლოვო“ 2 ნაწ. გამ. 1923 წ. მე-2-ე წლ. კ.
3. ჯაფარიძე და ზედგინიძე—მეტოდიჩესკაია ხრესტომატია 1 ნ. მერე წლის კურსი.
4. „ „ „ „ 2 „ 3 „ „
5. „ „ „ „ 3 „ 4 „ „
6. „ „ „ „ 4 „ 5 „ „
7. ახვლედიანი—ზანდუკელი—ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის.
8. კანდელაკი—მისაბიშვილი—რუსული ქრისტომატია ტეხნიკუმ. დროებით დაშ.

არითმეტიკაში.

1. ჩიმაკაძე—შუბლაძე—ამოცანათა და რიცხვითი სავარჯიშოები კრებული 1 ნაწ.
2. „ „ „ „ „ „ 2 „
3. დათეშიძისა—არითმეტიკული კრებული . . . . . 1 ნაწ.
4. „ „ „ . . . . . 2 „
5. გ. წერეთლისა არითმეტიკული კრებული.
6. არითმეტიკა—კიურზენისა თარგმანი ხარაბაძისა.

გეომეტრია, ალგებრა, ფიზიკა, ტრიგონომეტრია.

1. შაფაქიძე—თვალსაჩინო გეომეტრია . . . . 1 ნაწ.
2. „ „ „ . . . . 2 „
3. „ „ „ . . . . 3 „
4. „ „ „ . . . . 4 „
5. ს. ოცხელი ელემენტარული გეომეტრია . . . 1 „
6. „ „ „ . . . . 2 „
7. კანდელაკი სტერეომეტრია.
8. ს. ოცხელი ელემენტარული ალგებრა . . . . 1 ნაწ.
9. „ „ „ . . . . 2 „
10. ს. ოცხელი და ნიჟარაძე—ფიზიკა . . . . 1 „
11. „ „ „ . . . . 2 „
12. ჯანელიძე „ფიზიკა“.
13. კრაევიჩი „ფიზიკა“.
14. დევიძე და ხარაბაძე—ტრიგონომეტრია.
15. ბერიძე—ლოგარიფმები.
16. გ. წერეთელი—ალგებრული ამოცანათა კრებული.

ბუნების მეტყველება, გეოგრაფია, ქიმია და სხვა.

1. არ. ჩხენკელი „ბუნება“ . . . . . 1 ნაწ.
2. „ „ „ . . . . . 2 „
3. დ. ქუთათელაძე ზოოლოგია . . . . . .
4. მეტრეველი და არჯევანაძე—ბუნების მეტყველების ცდათა კრებული. . 1 ნაწ.
5. „ „ „ . . . . . 2 „
6. ჭავჭანიძე ბუნების—მეტყველების ცდათა რვეული.
7. საზონოვი და ვერხოვსკი ქიმია თარგ. კაკაბაძისა.
8. ჭიჭინაძე ორთქლის ქვაბები.
9. იაშვილი—საზოგადო გეოგრაფია
10. „ „ ევროპა.
11. დონდუა ბუნება სკოლაში.
12. იაშვილი—ბუნების მეტყველების მოკლე სახელმძღვანელო.
13. დ. უზნაძე—პირველყოფილი კულტურა.
14. ნათაძე—პირველყოფილი კულტურა.
15. კარგარეთელი—სიმღერა მუსიკის სახელმძღვანელო.
16. ჩელპანოვი—ფსიხოლოგია.
17. შ. ნუცუბიძე—ლოღიკა 1923 წ. გამოცემა.
18. კაკაბაძისა—პირველი მუშაობა ქიმიაში.
19. ნიკოლაიშვილი—ძერწვა.
20. ბაქრაძე—ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიის სახელმძღვანელო.
21. ნათაძე—ადამიანის ნორმალური ანატომია. . . . . 1 ნაწ.
22. „ „ „ „ . . . . . 2 „
23. ქურდიანი—მეტყეობის კურსი.
24. რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვები.
25. მაისურაძე—ჰისტოლოგია. . . . . 1 ნაწ.
26. „ „ . . . . . 2 „
27. ე. ლოსაბერიძის—ჰიგიენა.
28. ივ. რუხაძე—საქართველოს გეოგრაფია.
29. გ. წერეთელი—„ჰიგიენა“ ტეხნიკუმის კურსი.

პოლიტიკურ ეკონომიაში და საზოგადოებათა მეცნიერებაში.

1. ალ. ბოგდანოვი—მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა თარგმ. ის. თალაქვაძისა.
2. ს. ს. ს. რ. კონსტიტუცია.
3. სტუჩკა—კონსტიტუცია სიტყვა პასუხით.
4. პროფ. გურვიჩ—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.
5. სტუჩკა მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
6. ვოლფიუს—ნაწყვეტები საზოგადოებათა მეცნიერებისა.
7. კოვალენკო—პოლიტიკური ანაბანა.

ისტორიაში.

1. პოკროვსკი—რუსეთის მოკლეი სტორია
2. როჟკოვი—მსოფლიო და რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო. 1 ნაწ.
3. „ „ „ „ „ 2 „
4. „ „ „ „ „ 3 „
5. „ „ „ „ „ 4 „

საქართველოს ისტორია შეკვეთილი აქვს დასაწერათ სარგის კაკაბაძეს განსაკუთრებული კონსპექტით და მატერიალური თვალსაზრისით—დროებით სწავლება უნდა ხდებოდეს უსახელმძღვანელოთ—პოკროვსკის ისტორიის გეგმის მიხედვით.

უცხო ენების სახელმძღვანელოები.

1. შევარდნაძე და სვანიძე გერმანულ ენის სახელმძღვანელო. . 1 და 2 ნაწ.
2. „ „ გერმანული ენის გრამატიკა.
3. შანსელ გლეზერ ფრანგული ქრისტომატია.
   თარგმ. ქ. რუტკის მიერ (დროებით დაშვებ.)
4. გერმანული ენის ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის (დრ. დაშ.)

სახალხო განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**
სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **პ. ზუმბაძე.**
საქმეთა მმართველი **ბ. გორდეზიანი.**

ბრიტანეთიაში

სასწავლებლების გაერთიანება. სამტრედიაში დამტკიცდა ერთი ცხრა წლიანი სასწავლებელი. ადგილობრივი ჰუმანიტარი ტეხნიკუმი გაუქმდა. გაერთიანებულ სასწავლებლის გამგით დაინიშნა დ. ღოღობერიძე (უმაღ. განათლებით).

ციებ-ცხელება მახლობელ სოფლებში და თვით სამტრედიაში უკვე დაიწყო, ქინა-ქინი ადგილობრივ აფთიაქში ძალიან ცოტაა...

მოსავალი. ქვემო იმერეთის მცხოვრებნი საგონებელში ჩაადგა გამუდმებულმა წვიმებმა, რომელიც სიმინდის მოსავალს წახდენით ემუქრება.

წვრიმალი ქურდბაცაცობა. სოფლებში გახშირდა წვრიმალი ქურდობა (ღორებისა, ქათმებისა და სიმინდის).

ზარალი ნიაღვრისაგან. სამეგრელოს „ხეჩეს“ განყოფილებას უკანასკნელ დროს ნიაღვარისაგან 1000 მან. (ოქრ.) ზარალი უნახავს.

ფასები სამეგრელოში. სამეგრელოში ფუთი სიმინდი 150,000 მან. ღირს. ყველი გირვანქა ორასი ათასი მან., ქათამი ვარია 200.000 მან.

სამტრედიის ქუჩები. სამტრედიის სადგურიდან რომ გამოხვალთ და სამტრედიის ქუჩებს გადახედავთ იშვიათი უსუფთაობა და რაღაც ჭრელი გროვა წარმოგიდგებათ. უმთავრეს ქუჩაზე მუდმივათ თავმოყრილია 20 - 25 ფეხშიშველა ბავშვები, ლაზღანდარობენ იგინებიან და გამვლელ გამომვლელს თავს აბეზრებენ. ეს უმთავრესი ქუჩა ნაგავით არის სავსე. პაპანება სიცხეში ამ ქუჩაზე გლია მკვდარი ძაღლი და ათასი სხვა ნაგავია დაგროვილი. წვიმიან დღეს მუხლებამდე ტალახი.

ასე „მჭუხარე“ ქალაქ სამტრედიაში არც ერთი მოკირწყლული ქუჩა ას არის.

ფასების ზრდა. გირვანქა ჰური 200 ათ. მან. უკვე 400 ათ. მან. ავიდა. შაქარი 2,500 ათ. ხორცი 500 ათ. მან.. ფოსტის ქაღალდი ფურცელი 150 ათ. მან. თხოვნის ქაღალდი ფურც. 200 ათ. მან.

ჩვენი ფოსტა

სამტრედია, ევროპიელს:

თქვენი კორესპოდენციები მივიღეთ, გაზეთი გეგზავნებათ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.